პროექტი

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს

1. შეიქმნას საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისია 2016 წელს გასამართი მორიგი საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საარჩევნო საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა კანონებში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტის მომზადების მიზნით;
2. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
3. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის თავმჯდომარემ საქართველოს პარლამენტს ერთი კვირის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგინოს კომისიის დებულების პროექტი;
4. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის შემადგენლობაში შედის ყველა კვალიფიციური სუბიექტი, აგრეთვე საქართველოს პარლამენტისადმი 2015 წლის 30 მაისის მიმართვაში მონაწილე პოლიტიკური პარტიები;
5. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომაზე დასწრებისათვის, საჭიროებისამებრ მოიწვიოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრების აპარატების და სხვა უწყებათა წარმომადგენლები;
6. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის სხდომაზე მოიწვიოს საარჩევნო საკითხების და კანონმდებლობის ექსპერტ-სპეციალისტები და ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;
7. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფა განახორციელოს საქართველოს პარლამენტის აპარატმა;
8. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიულმა კომისიამ კანონპროექტები საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საარჩევნო საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა კანონებში შესატანი ცვლილებების შესახებ საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს 2015 წლის 25 ნოემბრამდე;

9. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ინტერპარტიული კომისიის პირველი სხდომა მოწვეულ იქნეს დადგენილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში;
10. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი